ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3221579

ნომერი: AR1489392

თარიღი : 24.03.2017

გაცემის თარიღი : 25.04.2017

გაცნობის თარიღი : 25.04.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 62 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაჭავარიანი პ/ნ 01030010949
- თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქ. N 38

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.03.2017 წლის №3152273 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე უარის თქმის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 24.03.2017

წლის #AR1489392 განცხადებით მომართა გიორგი მაჭავარიანმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.03.2017 წლის №3152273 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 16.03.2017 წლის №3152273 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ონიაშვილი, N62, შპს "ევრობლოკი 2013"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.10.12.042.016) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 16 მარტიდან 2017 წლის 16 ივნისის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი უთითებს, რომ სამსახურის 16.03.2017 წლის №3152273 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, აღნიშნავს რომ ავტოსადგომების ფართობი 358.9 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 344.98 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 1438.87 კვ.მ-ის ნაცვლად - 1684.63 კვ.მ. შესაბამისად, საერთო ფართობი 2558.32 კვ.მ-ის ნაცვლად - 2539.66 კვ.მ.

სამსახურმა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი, შესწორებული ავტოსადგომის ფართობი შეესაბამება 16.03.2017 წლის №3152273 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს. ხოლო რაც შეეხება საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებელს, იგი არ შეესაბამება შეთანხმებულ პროექტში წარმოდგენილ გეგმებზე მითითებული საცხოვრებელი ფართების ჯამურ მაჩვენებელს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომების გასწორების უფლებამოსილება, მაგრამ 16.03.2017 წლის №3152273 ბრძანებაში, საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებელი, არ შეესაბამება შეთანხმებულ პროექტში წარმოდგენილ გეგმებზე მითითებულ საცხოვრებელი ფართების ჯამურ მაჩვენებელს.

შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. არ დაკმაყოფილდეს მოქ. გიორგი მაჭავარიანის 24.03.2017 წლის #AR1489392 განცხადება;
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.